ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2563751

ნომერი: AR1389987

თარიღი : 25.03.2016

გაცემის თარიღი : 25.04.2016

გაცნობის თარიღი : 26.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N39;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა ძლიერიშვილი პ/ნ 35001005358
- რუსთავი გ.ოდიშარიას ქ. კორ. 25 ბ. 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

დეკორატიული გაფორმების ობიექტის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, კოსმონავტების სანაპირო, #39–ში, შპს „სუპერგაზი“ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი # N 01.13.05.004.189), დეკორატიული გაფორმების ობიექტის მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015710760 18/12/2015წ. საკადასტრო კოდი N 01.13.05.004.189; საპროექტო ფოტომონტაჟი; მინდობილობა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, დიდუბე, კოსმონავტების სანაპირო, #39–ში, შპს „სუპერგაზი“ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი # N 01.13.05.004.189), დეკორატიული გაფორმების ობიექტის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.